

## კოშუთი და ღვაკი

მცირე წინასიტყვაობა. — კოშუთის ნეკროლოგების უვარგანობა ქართველი მკითხველისთვის. — უნგრეთი. — მოკლე მისი აწერა. — აღორძინება. — 1830 და 1848: ბრძოლა და ომი ავსტრიასთან. — რუსეთის გარევა. — 1856. — ღვაკის კომპრომისი. — ახალი ხანა.

უცხოეთის ცხოვრება ერთობ გრცელი, რთული და ბევრ-მხრიანია. სრულად იმას ვერც ერთი ქრონიკა ვერ ასწერს, მათ უფრო — თვითონ. ამ ათიოდე თავახზე ძლივს მოთავსდება ამ ცხოვრების უმთავრეს ახალ მოვლენათა ჩამოთვლა. ცარიელი ჩამოთვლა კი რის მაქნისია ჩვენებური მკითხველისთვის? მისთვის ახსნაა საჭირო. ჩვენი თვითონ ქრონიკის საგანიც ამ მიზეზით, ეს ახსნა იქნება. თანამედროვე ცხოვრებაში გამოვარჩევთ თითო-ორიოლა შემთხვევას, ქართველი მკითხველისთვის საგულისხმოს ან სასარგებლოს. და შემთხვევის განმარტებას მოვანდომებთ მთელ ქრონიკას. წლინ ბოლოს მკითხველს ათიოდე მოვლენა მტკიცედ გაცნობილი და გამოკვლეული იქნება. რით ვიხელმძღვინელებთ ჩვენი ქრონიკის საგნის ამორჩევაში? — ქართველი მკითხველის საქროებით, ინტერესით. აი, ამ მარტის თვეში, მაგალითად, უცხოეთში ბევრი რამ მოხდა შესანიშნავი. რუსეთსა და გერმანიას შუა დაიდვა ახალი ხელშეკრულება აღებ-მიცემობის შესახებ; ბრაზილიაში აჯანყებას ბოლო მოედო; გლადსტონი ინგლისის მართვისგან გადადგა; უნგრეთის სახელგონი პატრიოტი; კოშუთი, გადიცვალა, და სხვ. და სხვ. ამ შემთხვევათაგან რომელია ყველაზე უფრო შესამჩნევე, საკულისხმო? ინგლისელს რომ ეს კითხვა დაუდო, გიპასუხებს: „რასაკვირველია, გლადსტონის გადადგომა, ან, უფრო სწო-

რედ ვთქვათ, გლადსტონის მემკვიდრის, როზბერის, ხასიათიო“. ვაჭრისთვის უფრო საინტერესოა გერმანიის და რუსეთის მორიგება. სხვას, იქნება, ბრაზილიის აჯანყების მიზეზი და ბედი ეპრიანებოდეს. ჩვენდა თავად, ამთვის ქრონიკის საგნად ყველა ამ შემთხვევიდან კოშუთის სიკვდილი ვირგვთ და ვირჩიეთ. სხვა რომ არა იყოს-რა, ერთი ზომ ცხადია: წინ ბევრი დრო გვარჩება, იმედია, როზბერის თუ გერმანიის გასაცნობად. ბევრჯერ კიდევ გვექნება შემთხვევა ვწეროთ და ვიბასოთ მათ შესახებ. კოშუთი კი სამუდამოდ მოგვშორდა. არც მის ცხოვრებაზე, არც იმ კითხვებზე, რომელიც მან აღძრა და გააკვია, არასოდეს აღარ შეგვხვდება ლაპარაკი. საჭირო კი ყოველთვის იქნება, საკუთრივ ჩვენთვის, ამ კითხვების გაცნობა და ახსნა...

იტყვიან, ვიცი: „ამ თვეში მთელი ქვეყნის ჟურნალები და გაზეთები. კოშუთის ნეკროლოგებით იყო სავსეო. მაშ, მისი ცხოვრება ეხლა ყველას გაცნობილი იქნებაო“. ვითომ? გადვიტოვოთ აბა, ეს ნეკროლოგები, დავაკვირდეთ მათ აზრს და მიმართულვას. ინგლისური გაზეთი „The Times“ (21 მარტის ფურცელში) უფრო იმას ატყვევს ყურადღებას, რომ კოშუთმა ინგლისს ყირიმის ომში შეატოვინა; მისი ბრალი იყო ინგლისის და რუსეთის შუა ბრძოლაო; არცერთს უცხოელს არასოდეს არ ჰქონია ინგლისის ერზე იმოდენა გავლენა, რამოდენაც კოშუთმა იქონიო, და სხვ. ფრანგული გაზეთი „Le Temps“ (20 და 22 მარტის ფურცლებში) განსაკუთრებით იმას აღნიშნავს კოშუთში, რომ თუმც ეხლანდელი უნგრეთის წყობილება და მთავრობა არაფრად ეპრიანებოდნენ, მისი წინააღმდეგობა მაინც არ სურდაო, რევოლუციონერი იყო, მაგრამ არც ქადაგობდა, არც შეთქმულებას მართავდაო. ბრძენი რაინდი იყოო. ყოველი გაზეთი თავის აზრს და მაიარის აკვებებს კოშუთის ბაუდახინზე. ასე გასიხვიო, ქართული „კვალიც“ (N 13) კი გვარწმუნებს, ვითომ კოშუთს „ჩაპყვა საფლავში ერთი მწუხარება: რომ ჰუნგარიის ერის დაცემა მის მუზობელ ხალხებთან მტრობის ბრალი იყოო“. ნეკროლოგების შერჩევაში ყოველთვის ასე იციან. „მელს რაც ავიწიებოდა, ის ელანდებოდაო“, ტყუილია კი არ აღის ნათქვამი. აქედან სხამა, რომ სხვაგან და სხვის-

გან დაწერილი ნეკროლოგი ქართველი მკითხველის ცნობის-  
მოყვარეებს ვერ დაემაყოფილებს. როგორც ინგლისელი,  
ფრანგი, ან სხვა ცდილობს თავისი ქვეყნის სასარგებლო რამ  
გამოიკვლიოს კომუტის წარსულში, ისე ქართველმაც საქარ-  
თველოსთვის გამოსადეგი რამ უნდა ეძიოს შიგ და არა სხვე-  
ზისთვის. ეგეც რომ იქით იყოს, კომუტის ნეკროლოგებს  
ბევრი სხვა ნაკლიც აქვთ. ისინი უცხოეთში არიან დაწერი-  
ლი, ან უცხოეთის ლესიკონებიდან არიან გადმოთარგმნილი.  
ამის გამო საჭიროა მათი შევსება, ახსნა, შედარება, ბევრი  
ისეთი გარემოების გახსენებით, რომელიც უცხოელს ზეპირად  
და ნიადაგ ახსოვს. უცხოელის თვალში, რაკი კომუტის ღვა-  
წლი ამ ორმოც და ხუთის წლის წინად დაბოლოვდა, მისი  
მოქმედება, გავლენა, სიკეთე, სიავე ერთიანად წარსულს  
ეკუთვნის და დიდი ხანია რაც ღირსეულად აწონილი, და-  
ფასებული და გასჯილია პირუთენელი ისტორიისგან, იმ თა-  
ნამედროე ისტორიისგან, რომელიც უცხოეთში ყოველ გა-  
ნათლებულ კაცს, თითქმის ყოველ მკითხველს რიგიანად  
შესწავლილი აქვს. ამ მიზეზით უცხოელ ნეკროლოგისტებს  
არც კი ესაჭიროებოდათ ვრცელი გამოკვლევა ეწერათ კო-  
მუტის ცხოვრების შესახებ, მათთვის საკმარისი იყო ზოგიერ-  
თი რამ გახსენებათ მკითხველისთვის: „ამა და ამ წელში  
დაიბადა, ამდენი და ამდენი ხანი იმინისტრა, ესა და ეს  
საქმე გაარჩა, აქა და აქ გაიმარჯვა, აქ კი დამარცხდა, და  
ბოლოს ამა და ამ დღეს ღმერთს სული ჩააბარაო“. დანარ-  
ჩენს, უმთავრესს, თვითონ მკითხველი გაიხსენებს და შეავ-  
სებს. უცხოეთის მწერლობას არც ის სჭირია, რომ ცხადი  
და საღი აზრი შეაგონოს მკითხველს ქვეყნის საქმეების მარ-  
თვის და მოწყობის შესახებ. ამ საგნებზე მკითხველი პირ-  
დაპირად სჯის თვით ამ საქმეების განხილვის დროს. უცხო-  
ეთის ნეკროლოგში დასწერენ ხოლმე: „კომუტი არც პირად  
ერთობას, პირად შეერთებას, პირად უნიას ნდობობდაო“,  
და ეს აზრი იქ ყველასთვის ცხადია, რადგანაც ყველამ იცის,  
„პირადი შეერთება“ რას ნიშნავს. ჩვენში კი ეს ასახსნელია,  
როგორც ყველაფერი, რაც საზოგადოებრივ წყობილებას  
და მართვას შეეხება. სანამ ჩვენ ამგვარ ახსნას არ ჩავუტრევთ  
თანამედროე საისტორიო მასალაში, ქართველი მკითხველი

ვერც მოქმედი პირების ხასიათს გაიცნობს ზეირიანად, ვერც  
საღ პოლიტიკურ მსჯელობას შეიღვენს ქვეყნის საქმეების  
თუ ბედის ტრილის შესახებ. მესამე განსხვავებაც შესანიშ-  
ნავია. უცხოელი ნეკროლოგის დაწერისთვის კომუტი დი-  
დი ხანია რაც „ცხოვრებისგან გადადგა“. რაც ამ უკანასკნე-  
ლი ორმოც და ხუთის წლის განმავლობაში მის მამულში  
თვალ-საჩინო ცვლილება მოხდა, ზედ კომუტის ხელი და  
გავლენა როდი დასტყობია, პირდაპირად და აშკარად მინც.  
ამ მიზეზით უცხოეთის მწერლობაც კომუტის გადაცვალებ-  
აზე სწორედ იმ რიგად სწერს, თითქო ეს კაცი ეხლა კი  
არა, ამ ორმოც და ხუთი წლის წინად მომკვდარიყოს, ანა  
და ისე, როგორც იხსენიება მოხუცი, რომელსაც აღარც კარ-  
გის და აღარც ავის მოხერხება აღარ აქვს. მოხდება ხოლმე,  
იშვითად, რომ ისეთი კაცის სიკვდილს გაიგებ, რომელიც  
ბავშვობის აქეთ აღარ შეგხვედრია და გაგხსენებია. მაშინვე  
ნათლად დაგებატება თვალ-წინ შენი ახალგაზდობის პირვე-  
ლი ნეტარი და მზიარული დრო, მაშინდელი თამაში, ცელ-  
ქობა, ოცნება, კისრის-ტეხა, შეცდომა. ეს ყველაფერი გახ-  
სენდება გულ-კეთილად, შენდობის თვალთ და ყველაფერს  
ღიმილით იგონებ, იმ ღიმილით, რომელშიაც ვერც კი გაარ-  
ჩევს ადამიანი, რა უფრო ურევია: სიამე, თუ დაცინვა? აი,  
სწორედ ეს გრძნობა, ეს ღიმილი ატყვია უცხოეთის ნეკრო-  
ლოგებს კომუტის თაობაზე. უცხოეთმა შეიტყო თუ არა  
ბაბუა კომუტის სიკვდილი, უცებ გაიხსენა 1848—1849 წლე-  
ბის შფოთიანი დრო, გაიხსენა სიამით, აღტაცებითაც ის დრო,  
როცა მთელი განათლებული კაცობრიობა გულის-ფეთქით  
მოელოდა ხალხთა განთავისუფლების ახალ-ახალ ამბებს, და  
თან დარწმუნებულიც იყო, რომ ეს განთავისუფლება მარ-  
ტო გმირობით მოიპოვებოდა. უცხოეთში ეს ბედნიერი წარ-  
სული მოიხსენიეს სწორედ იმავე გრძნობით, როგორითაც  
კაცი თავის სიყმაწვილეს, დაუბრუნებელ სიყმაწვილეს, იგო-  
ნებს და შეჰხარის. უცხოეთისთვის, მართლაც, ეს წარსულია,  
დაუბრუნებელი წარსული. მისთვის შიგ ჭკუისა და გამოც-  
დილებების სასწავლი როდიღა რამეა... ამ მიზეზით კომუტის  
უცხოეთის ნეკროლოგებში უფრო ღირსში სჩანს, ვინემ  
საღი მსჯელობა: რა ბრძოლა გამართა და აიტანა ამ კაცმაო,

რა გამარჯვება ელირსა მას, ბრძოლის პირველ ხანებში, და ბოლოს კი რა სასტიკი დამარცხება დაატყდა თავზეო რა დიდი ძალა და გავლენა ჰქონდა და მერე რაწაირ უძლეურებაში, რა სიმარტოვეში გაატარა თავის სიცოცხლის მეორე ნახევარი, მთელი ორმოც და ხუთი წელიწადი. ხორც-შესხმულ დრამაა, ტრაგედიაა ეს კაციო გვირგვინის ღირსი იყო მისი ენერჯია, მისი მამულის სიყვარული, და ზედრად, მის მსხვერპლს, განუზომავი ტანჯვა ხედაო. და სხვ. და სხვ. ჩვენ ამნაირი ღირსში არაფრად გამოგვაღებება. ჩვენთვის კოშუთის ცხოვრება თუ სპექტაკლად უნდა იქცეს, უფრო სასარგებლო იქნება მის დრამას დავაკვირდეთ მარტო გულის-მოსაფხანად და ასადლევებლად კი არა, გონების გასახსნელად, სწავლისა და გამოცდილების შესაძენად, ისტორიის კანონების გასაგებად, იქნება ამ სწავლით და გამოცდილებით ვიხელმძღვანელოთ სხვა-და-სხვა ისტორიული თუ საზოგადოებრივი მოვლენების ახსნის და დაფასების დროს. ნეირი უნდა ვეძებოთ კოშუთის დრამაში, თორემ სეირი რა ჩვენი საქმეა, სეირისთვის ჩვენში ვის სცალიან?

უცხოეთის ნეკროლოგებს ჩვენთვის ის ნაკლიე აქვს, კიდევ, რომ შიგ მარტო განსვენებულ გმირზეა ლაპარაკი, თათქო მარტო ის ყოფილიყოს მოქმედი პირი. დანარჩენ მის თანამედრთეთა გაცვრით იხსენიებენ, იმდონად, რამუენადაც უამისოდ წერა არ მოხერხდებოდა. ჩვენში, საცა თანამედროე ისტორიის ცოდნა ერთობ კოჭლობს, აუცილებლად საქმროთა გმირს დანარჩენი მოქმედი პირებიც ამოუყენოს კაცმა გვერდში. საქმროთა, აგრედვე, ის ასპარეზიც გააცნოს მკითხველს, რომელზედაც გმირი მოქმედებდა... თვითონ მკითხველი დაინახავს მალე, რომ უსაფუძვლოდ კი არ მიგვიქცევია ამ მხარეებზე მასი ყურადღება და გონება.

უნგრეთი, ან უნგარია, თუ ვენგრია უცხოელებისგან დახელად დარქმეული აქვს ქვეყანას, რომელსაც თვითონ მისი მკვიდრნი „მადიარ-ორწავს“ ეძახიან, აი სწორედ ისე, როგორც ჩვენს ქვეყანას უცხოელები ზოგი „გრუზიას“ უძახის, ზოგი „გურჯისტანს“, ზოგი „გეორგია“-ს, ზოგი „უორუი“-ს; და ჩვენი კი, მისი მკვიდრნი, მას სულ სხვა სახელს, „საქართველოს“ ვუწოდებთ. მარტო ამ დაბნეული სახელწოდებით

კი არ ემსგავსება ეს ქვეყანა ჩვენსას. მისი გეოგრაფიული მდებარეობაც — და, მასასადამე, ისტორიული ხვედრაც — ბევრად ჩამოგავს ჩვენსას. ისიც, ჩვენი არ იყოს, სამი დიდი რასის და სამი დიდი იმპერიის შუა ჩარჩენილი გაცვეთებულნი. მისი ნიადაგი მეტად მდიდარი და ნაყოფიერია. ჩრდილოეთით და სამხრეთით ისიც, ჩვენსავით, მოზილილი მთელობით არის შემოზღულდული. ძველადგანვე ეს ქვეყანა გზატკეპნილი იყო სხვა-და-სხვა ველური ხალხებისთვის, როცა ისინი აზიიდან დაიძროდნენ, რუსეთის მინდვრებს გადმოლაზავდნენ და რომის თუ ბიზანტიის საზრძანებელს შეეგოდნენ. აქ შესამე საუკუნეში გოტები დამკვიდრდნენ. მათ მალე გუნები დაესხნენ და მოერიგნენ. მერე გუნებს თავს დაეცნენ ოსტგოტები, ამათ — გეპიდები, გეპიდებს — ლომბარდები, ლომბარდებს — ავარები. უკანასკნელებმა მეექვსე საუკუნეში დაიკავეს მთელი მხარე. მერვე საუკუნეში ისინი დამორჩილა და გააქრისტიანა კარლოს დიდმა, რომლის დროს ამ ქვეყანაში ბევრი სხვა მოდგმის ხალხი ჩამოსახლდა. მეცხრე საუკუნეში ამ მხარეს დაესხა თავზე ახალი უცნობი ხალხი, რომელიც უწინ ურალის მთების თუ მდინარე ვოლგის ახლო-მახლო ხეტიალობდა და იქიდან პაქანიგებისგან გამოადევნა. ეს ხალხი, რომელსაც რუსები და სლავები ძველად „უნგრად“ ან „უნგორად“ ასახელებდნენ, გერმანელები კი — „უნგრად“, ახლობელი ნათესავია ბაშკირებისა და განსაკუთრებულ ენას ხმარობს, რომლის გვარტომობა და ნათესაობა ჯერ საქმაოდ განმარტებულნი არაა. თავის თავს ეს ხალხი „მადიარს“ ეძახის. დაიპყრო თუ არა იმან, 894 წ. მთელი ის მხარე, რომელსაც მას აქედ მისი სახელი უხგოთოი, თუ უნგრია, ან ვენგრია დაერქვა, მაშინვე იქაურ მკვიდრებს მთელი მიწაწყალი წაართო. უნგრიის ხალხის წინამძღოლმა მეფე არპადმა ეს მიწა-წყალი ზოგი თავის საკუთრებად დაიტოვა, და დანარჩენი ნახევარი მარტო თავისი ჯარის მთავრებს დაურიგა, რომელნიც თავ-თავის ნაწილს (კომიტატში) დასახლდნენ თავიანთი ჯარით და მხლებლებით უწინდელი იმ ქვეყნის მკვიდრნი ყველანი ამ ახალი მიწის პატრონების გლეხებად გახადეს. ეს არის დასაწყისი უნგრეთის უხლებელი გვინომიური წყობილებისა. მადლი წო-

დება, ყოვლის შემძლე მაგნატები, და საზოგადოდ მოწინავე განათლებული ნაწილი ხალხისა უნგრეთის მოღვაწისა, მაშის, როცა, თითქმის მთელი მდაბიო ხალხი ან სლავის მოღვაწისა, ანა და სხვა-და-სხვა ეროვნების ნაწილი.

პირველი ასი წლის განმავლობაში უნგრეთის ახალმა სამეფომ მშვენიერად გააწყო თავისი საქმეები და დიდი გავლენაც შეიძინა. არპადის მემკვიდრეებმა ქრისტიანობა მიიღეს. მათგან მეფე სტეფანე (1000 წ.) წმინდანების რიცხვშიაც არის ჩარიცხული. მის დროს უნგრეთის სამეფო დამკვიდრდა თავის ეხლანდელ სამზღვრებში, ამიტომაც მას აქვთ ამ სამეფოს „წმინდა სტეფანეს გვირგვინი“ ეძახიან ხოლმე. მისი სიკვდილის შემდეგ ატყდა გამწარებული ბრძოლა იმის თაობაზე, თუ ვის ერგებოდა უნგრეთის ტახტი, ან რომელი მეზობელი წაგლეჯდა რასმე ამ ქვეყანას. მთელი ხუთი საუკუნის განმავლობაში უნგრეთი, თითქმის ნიადაგ, ომით და შფოთით იყო აოხრებული. იმას ხან გერმანელები შეუხტებოდნენ, თავიანთი პრინცი გასამეფებლად, ხან პოლონელები, ხან ჩეხები, ხან ფრანგები იტალიიდან, ხან თათრები. გარეშე მტრის შემოსევას და დროგამოშვებით ბატონობას ის შედეგი მოჰყვა, რასაკვირველია, რომ შინაურებიც აირ-დაირივნენ: მათ შორისაც ბრძოლა, განხეთქილება და მტრობა ატყდა. ეკონომიურ ქიშპობას სხვა და სხვა წოდებას შუა ზედ დაერთო პოლიტიკური პარტიობა, სხვა-და-სხვა გარეშე მტრებისგან გაზვიადებული. საქმე იქნამდე მივიდა, რომ სამეფო ჯერ ორ ნაწილად გაიყო, მერე ცოტ-ცოტად და ნელ-ნელა იკლო, სანამ სრულებით არ დამციირდა და უბრალო „მზითვად“ არ გადაიქცა. მეთხუთმეტე საუკუნეში ის მზითვად ზედა ავსტრიის სამეფოს სახლს (ჰაბსბურგებს). მას შემდეგ ორჯერ თუ სამჯერ კიდევ გაამზითვეს უნგრეთის ტახტი, რომელიც ხან პოლონელ იაგელონებს ერგო (1410), ხან ჩეხების იაგელონებს (1490), სანამ ხელ-ახლავ ავსტრიის ჰაბსბურგებს არ დაუბრუნდა სამუდამოდ, 1525 წ. მას აქედ ამ სამეფო სახლის ხელშია წმ. სტეფანეს გვირგვინი. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ჰაბსბურგებს თან ავსტრიის ერცჰერცოგის გვირგვინიც ეკუთვნოდა, ბოლშევის სამეფოც და

რომის ან გერმანიის საიმპერო გვირგვინიც, რომელიც ბოლოს, ავსტრიის საიმპერატორო გვირგვინად იქცა.

ჰაბსბურგების გამეფებას უნგრეთში მშვიდობიანობა როდი დაუფუძნებია ამ ქვეყანაში. ვინც კი უწინ უნგრეთს თავზე ესხმოდა, ოსმალო იყო, თუ პოლონელი, ისევ დრო-გამოშვებით აწიოკებდა იმას. ან ვისაც ამ მხრით ავსტრიასთან ანგარიში რამე ჰქონდა, უნგრეთის მინდვრებში უნდა გაესწორებია ეს ანგარიშები. მთელი ორი მესამედი უნგრეთისა დიდ ხანს მტრის, ოსმალოს ხელში იყო. ავსტრიამ ნელ-ნელა და ცოტ-ცოტად დაიბრუნა ეს ნაწილები. ტრანსილვანია წაართვა ოსმალებს 1699, ტემეშვარის პროვინცია — 1718, დანარჩენი მაზრები — 1739. მარტო წარსული საუკუნის შუაში, ორასი წლის დეაწლით, მოხერხდა ხელ-ახლავ შეგროვება, ერთ და იმავე მმართველობის ხელში, იმ სამეფოებელოისა, რომელიც ოდესმე „წმ. სტეფანეს გვირგვინს“ ეკუთვნოდა და უნგრეთის სამეფოს შეადგენდა.

რალა თქმა უნდა, როგორც კი უნგრეთის აღდგინების ეს პირველი ნაბიჯი გადადგმული იქმნა და დამაგრდა, მაშინვე მეორეც დამზადდა. უნგრეთის მეფე, როგორც ვთქვით, თან ავსტრიის იმპერატორიც იყო. ის ვენაში ცხოვრობდა, და ერთობ გართული, მეტად დამძიმებული იყო თავისი ვრცელი სამფლობელოს მართვით. უნგრეთში იმას, თავის მაგიერ, სამართავლად და წარმომადგენლად პალატინი ჰყავდა (ნამესტნიკი) ძველებური წეს-წყობილებით უნგრეთი იმართებოდა ამ პალატინით და იმ კრებულით, რომელსაც შეადგენდნენ მაგნატების და ქალაქების არჩეული წარმომადგენლები. რაც უფრო დრო მიდიოდა, რაც უფრო მშვიდობიანობა მყარდებოდა უნგრეთში, და რაც უფრო ვრცელდებოდა შიგნისწავლა-განათლება, აღებ-მიცემობა, მრეწველობა და სიმდიდრე, მით თანდათან უფროდაუფრო ჰკრძობდა ყველა უნგრეთის წეს-წყობილების უხეირობას. თანდათან ყველას ის ამძიმებდა, რომ მარტო დაბალ ხალხს ჰქონდა დატეხილი თავზე მთელი სიმძიმე სახელმწიფო საქარობისა. გარში მარტო ის გაჰყავდათ, სამუშაოში მარტო იმას აჯაფნიდნენ. გადასახადიც მარტო იმას ხდებოდა, და, აქაც გარდა, მარტო იმას უნდა ერჩინა მაგნატები და სამღვდელთა.

გიან მდგომარეობაში მარტო მოქალაქენი იყვნენ, რომელ-  
თაც მეფე სიგიზმუნდმა 1405 წ. მრავალი უპირატესობა  
მისცა და დაუმკვიდრა. ავსტრიის იმპერატორებმა ადვილად  
დაინახეს, რასაკვირველია, რომ თუ ეს უსწორმასწორობა და  
უსამართლობა არ მოვსპვთ, დავიდარაბას ვერ აუვალთ ქვე-  
ყანაში, და, მართლაც, მათთვის მართვა გაძნელდა. ამის  
მიხედვით იმპერატორმა მარიამ-ტერეზას დროს, და გან-  
საკუთრებით მისი შვილის, იოსებ მეორის მეფობაში, დიდი  
ცვლილება მოახდინა ტახტმა უნგრეთის წყობილებაში. იოსებ  
მეორემ ბატონ-ყმობის მოსპობა გამოაცხადა, მონასტრები  
გააუქმა, აზნაურობას გადასახადი შეაწერა, ბეჭდვის თავი-  
სუფლება კანონად დადვა და სხვ. მაგრამ, საუბედუროდ,  
ამასთანავე იმან ისიც დააწესა, რომ ყოველმა კაცმა გერმა-  
ნული (ნემეცური) ენა უნდა ისწავლოსო და უნგრეთი ამ  
ენაზე უნდა იმართებოდესო. მაგნატებს არ ეკმარებოდათ, რა-  
საკვირველია, ეკონომიური მხარე ამ ცვლილებისა; ხალხს  
კი — ერთობ საქმე გაუჭირვა ენის ძალ-დატანებით შეცვლამ.  
ამასთანავე თვითონ ავსტრიას მძიმე გარეშე ომი აუტყდა  
საფრანგეთთან. უნგრეთში იოსებ მეორეს ცვლილების გამოი-  
სობით ისეთი მოძრაობა და წინააღმდეგობა მოხდა, რომ  
იოსების მემკვიდრემ, იმპერატორმა ლეოპოლდმა 1790-ში  
საჭიროდ დაინახა თითქმის ერთიანად მოეპოო ყველა ეს  
ცვლილებები და საქმე ისევ ძველებურ წეს-წყობილებაში  
დაეტოვებინა. მისი მემკვიდრეების ხელში, ავსტრიას დიდი  
გასაჭირი და დამცირება მიადგა ნაპოლეონ პირველის მხრით.  
სანამ ავსტრია ნაპოლეონს ებრძოდა, უნგრეთი თავის ეკო-  
ნომიურ მდგომარეობას იუმჯობესებდა: სწორედ ამ დროს  
დაარსდა და აყვავდა იქ ბევრი სხვა-და-სხვა გვარი ხელობა  
და წარმოება, რომლის ნაყოფმა ხალხი წელში გამართა. თან-  
დათან აღიძრა და გაძლიერდა ქვეყანაში სხვა-და-სხვა უწე-  
სობების და უსამართლობის მოშორების სურვილი, და თან  
იმისთახა წეს-წყობილების შემოღებისა, რომ უნგრეთს თავი-  
ვისი საკუთარი საქმეების მართვა და წყობა თვითონ შესძ-  
ლებოდა. მაგნატები და მოქალაქეები ერთნაირად დარწმუნ-  
დნენ, რომ ვენიდან უნგრეთის საქმეების რიგიანად მართვა  
ყოვლად შეუძლებელიაო. გაიხსენეს, რომ ძველად, როცა

უნგრეთი ჰაბსბურგებს ერგო, უნგრეთს ავსტრიასთან საერ-  
თო მეფის მეტო, როდი რამ ჰქონდაო. ჩვენ ჩვენ მთავრო-  
ბას და მმართველობას გვიყენებდნენ მაშინ ჰაბსბურგები, და  
ავსტრიაში — ავსტრიისასაო. ჩვენთვის ცალკე სცემდნენ კა-  
ნონებს, და ავსტრიელებისთვის — ცალკეო. ერთი სიტყვით,  
უნგრეთს და ავსტრიას აკავშირებს მარტო „პირადი უნია“,  
პირადი შეერთება, მარტო ის გარემოება, რომ ამ ორს გან-  
კერძოებულს სამეფოს ერთი და იგივე პირი ცნობილი ჰყავთ  
მეფედ. ამ მეფეს ავსტრიაში იმპერატორის ტიტული აქვს,  
და უნგრეთში — კოროლისა. სხვა კი საერთო ამ ორ სახელმ-  
წიფოს როდი რამა აქვს. ძველ დროში ისე იყო, რომ უნგ-  
რეთს თავისი საკუთარი ქარი ჰყავდა, თავისი განკერძოებუ-  
ლი შესავალ-გასავალი, თავისი საკუთარი მმართველობა და  
სხვ... აი, ამნაირი „ავტონომია“, ამგვარი „თვით-მართება“  
უნდა გვქონდესო, ესაა ჩვენი ისტორიული უფლება, ეს უნდა  
დაგვიმკვიდროს ჩვენმა კოროლმა, ავსტრიის იმპერატორმაო.  
ამას მთელი მოწინავე საზოგადოება, მთელი აზნაურობა, მო-  
ქალაქეობა ამბობდა. ამასთანავე განათლებული ნაწილი სა-  
ზოგადოებისა, მისი ინტელიგენცია, იმასაც უმატებდა, ერი  
ეკონომიურ მონებიდან უნდა განვითარდესო, ქვეყანა-  
ში სრული თანასწორობა და სამართლიანობა უნდა დადამ-  
ყაროთო, თავისუფლება, თვით-მმართველობა ჩვენ აი ამის-  
თვის გვინდაო. მას აქეთ, რაც ნაპოლეონ პირველთან ბრძო-  
ლა დაბოლოვდა, უნგრეთის კრებულში (სეიმებზე) ნიდავ  
ამ უმთავრეს საგნებზე იყო სჯა და მეცადინეობა. მწერლო-  
ბაც, პირადი ქადაგებაც, რასაკვირველია, მხარს აძლევდა ამ  
მიმართულებას.

ავსტრიის მფლობელებს, რასაკვირველია, თავიანთი ტვირ-  
თის თუ შრომის გასაადვილებლად ის ეჩიოთ, რომ მთელ  
სახელმწიფოში მარტო ერთი სჯული, ერთი ენა და ერთი  
მმართველობა ჰქონოდათ. ეს იყო მათი უმთავრესი სურვი-  
ლი და ცდა. მაგრამ, რადგანაც ავსტრიის მონარხია შემდ-  
გარია ბევრ სხვა-და-სხვა სამეფოთაგან, რომლებშიც სხვა-  
და-სხვა სჯულის და მოდგმის ხალხი ცხოვრობს, იმას ყვე-  
ლა მხრით სადავო და დასაცავი ინტერესები აქვს. აღმო-  
საველეთით იმას რუსეთი უდგას, რომელიც თანაგრძნობით

შესტეგრის ავსტრიის ხელქვეით მყოფს თავის მონათესავე ხალხებს: რუსინებს და სხვა სლავებს. ჩრდილოეთით და დასავლეთით იმას გერმანია აკრავს, რომლისკენაც გულთ მიზიდვის ყველა ავსტრიის სამფლობელოში მცხოვრები გერმანელი, ესე იგი, თითქმის მესამედი მთელი ავსტრიისა. სამხრეთით იტალია და ოსმალეთი საზღვრავს. ამ მდგომარეობაში იმას ხან ერთი მეზობელი სწეწავს და ჰგლეჯს, ხან მეორე, ხან მესამე. უნგრეთს, რასაკვირველია, ამის მიხედვით, ხშირად ეძლეოდა შემთხვევა ავსტრიის სისუსტით, თუ გასაკირით, ესარგებლნა, ავსტრიისთვის საჭირო და სასარგებლო გამხდარიყო. მართლაც, ყოველთვის, როცა ავსტრიას გარეშე მტრები საქმეს უჭირვებდნენ, ჰაბსბურგები მაშინვე უნგრეთში, შველას თუ არა, დახმარებას და ერთგულებას ეძებდნენ. აქ იბრუნებდნენ ისინი სულს, აქ იძენდნენ ხელახლად ახალ ამადლებს ძალას. ყველამ იცის. რომ შვიდ წლიან ომში დამარცხებულმა პარიამ-ტერეზიამ უნგრებს მიაშურა და თავის ჩჩვილი შვილი იოსები მიაბარა: თქვენა ხართ ჩვენი იმედი და საძირკველიო. — მაგრამ, ამასთანავე, იმ განზრახვით, რომ უნგრებს, ნამეტნად არ ესარგებლნათ ამ მდგომარეობით და ერთობ ამაყად არ აეშვირათ ცხვირი, ჰაბსბურგებიც ცდილობდნენ უნგრებისთვის კვანტი გამოეღოთ, ხანდისხან მაინც. როგორც უნგრეთმა იცოდა ავსტრიის სისუსტე და გაჭირვება სად ან რაში მდგომარეობდა, ისე ავსტრიასაც ჩინებულად მიგნებული ჰქონდა, უნგრეთის ნაკლი რაში იყო. ამ ქვეყანაში უნგართ მოდგმა, ან საკუთარიც მადიარები, მესამედსაც არ შეადგენდნენ მთელი უნგრეთის ხალხისას. დანარჩენი ორი მესამედი გერმანული, რუმანული, და უფრო მეტად სლავურ მოდგმას ეკუთვნის. ყოველთვის, როცა უნგრეთის კრებულები (სეიმები) ცდილობდნენ ავსტრიის გაჭირვებულ მდგომარეობით ესარგებლათ და თვით-არსებობის დამყარებას თხოულობდნენ, თხოულობდნენ საკუთარ პარლამენტს, საკუთარი სამინისტროთი, საკუთარი ჯარით და წყობილებით, ჰაბსბურგები ცდილობდნენ თვით უნგრეთში კრებულების წინააღმდეგ შფოთი აეტეხნათ, იმ ხალხში, რომელიც მადიარებისგან დაჯანსაღებული იყო და რომელსაც კრებულში წარმომადგენელი როდი ჰყავდა.

აი ამგვარი პოლიტიკური ბრძოლა წარმოებდა მთელი ასი წლის განმავლობაში უნგრეთსა და ჰაბსბურგებს შუა. თანდათან, რაც ხალხში შეძლება და სწავლა ვრცელდებოდა, ეს ბრძოლაც უფრო და უფრო შესამჩნევი და სასტიკი ხდებოდა. განსაკუთრებით გამწვავდა ის 1830 წლის აქეთ, როცა საფრანგეთში გამარჯვებულმა რევოლუციამ მთელ ევროპას მოსდო ახალი და გონებრივი პოლიტიკური მოძრაობა.

უნგრეთში ამ მოძრაობამ წინ წამოაყენა მთელი გუნდი წარჩინებული ტალანტებისა. მათ მოთავედ და წინამძღვრად 1832 წლის კენჭის-ყრის შემდეგ, ფერენც დეაკი გახდა. ამ მაგნატს სწავლა დასრულებული ჰქონდა რაბინის უნივერსიტეტში, იურიდიულ განყოფილებაზე, და მეტის-მეტი ვრცელი გონება, ნიჭი და ცოდნა ჰქონდა. დეაკმა თავიდანვე მოინდომა ჯერ თანასწორობის და მერე თვით-არსებობის დამყარება თავის სამშობლოში. მოწინავე პარტიას, რომლის წინამძღოლად ის იყო, იმან დაუნიშნა აზნაურობის უპირატესობის მოსპობა, გადასახადის განაწილება ყველა წოდებათა შორის, საერთო კანონები ყველასათვის, და სხვ. თუმც მისი პროგრამა ბევრად უფრო ვრცელი და მაღალი იყო სწევებისაზე, მაგრამ დეაკმა ისე რბილად და გონიერად იცოდა თავისი აზრების გამოთქმა და დამტკიცება, რომ თვით ჰაბსბურგების მხრითაც მომხრეს და თანაგრძნობას პოულობდა ხოლმე. მისი თათსნობით კრებულმა მოითხოვა, და იმპერატორმაც ნება დართო, არჩეულიყო ცალკე კომისია, კერძო კანონ-მდებლობის შესადგენად უნგრეთისთვის სისხლის სამართლის ნაწილზე: ამ კომისიაში დეაკს უმთავრესი შრომა ერგო, და მისგან შედგენილი სამართლის წიგნი ეხლაც მეცნიერებაში სამაგალითად ითვლება. 1843 წ. დეაკი და მისი მომხრეები დაამარცხა არისტოკრატიულმა პარტიამ, რომელსაც ეზიზღებოდა აზნაურობის უპირატესობის მოსპობა და განსაკუთრებით გადასახადის თანასწორობა. შემდეგ არჩევნებში კი მოწინავე, ხალხის მოყვარე რაზმმა გაიმარჯვა. როცა ახალი კრებული შეიკრიბა, 1848 წლის დამდეგს, და გამხნვედა პარიეში და ვენაში მომხდარი არეულობის გამარჯვებით, მოწინავე დასმა გადასწყვიტა იმპერატორთან ცალკე დეპუტაცია გაეგზავნა კერძო სამინისტროს სათხოვნელად უნგრეთისთვის. იმ დროს

ავსტრიის იმპერატორს ყველა მხრიდან აჯანყების ალი ერთ-  
ყა. მისი იტალიის პროვინციები, ლომბარდია და ვენეცია,  
არეულობის ხელში იყვნენ. ვენაში და გერმანულ ნაწილებში  
ხალხი ატეხილი იყო და კონსტიტუციას თხოულობდა. ვალი-  
ცია — ცმატურობდა. ამასთანავე ნათლად ჩნდა, რომ გარეშე  
მტერი საომრად ემზადებოდა, და ავსტრიას რამდენიმე მხრით  
თავზე დასხმის ლოდინი უნდა ჰქონოდა. ამ მდგომარეობაში  
უნგრეთის მომადლიერება სჯობდა მომდღურებას. სეიმის თხოვ-  
ნა და სურვილი შეწყინარებულ იქნა. უნგრეთს მიეცა ცალ-  
კე სამინისტრო, რომლის თავმჯდომარედ გრაფი ბატიანი და-  
ინიშნა. თუმც ამ სამინისტროს ბატიანის სახელი ერქვა, მის  
ძალას და შეეხებას თავმჯდომარე კი არ შეადგენდა: ორ მის  
მინისტრზე იყო დამყარებული ქვეყნის იმედი და ყუოდლე-  
ბა: სამართლის მინისტრზე ფერენც დეაკზე, და ფინანსე-  
ბის — ლაიოშ კოშუთზე: ეს ორი კაცი, ორი სხვა-და-სხვა  
დასის მოთავე, ნიჭით და ენერგიით სავსე, უნგრეთის პატ-  
რიოტიზმის ორი წინააღმდეგი მიმართულების წარმომადგენ-  
ლები იყვნენ.

ამ ორ მოთავეს, და მათ პარტიებს, შუა განსხვავება და  
განხეთქილება მართო იმაში მდგომარეობდა, თუ როგორ უნდა  
გვიროს თავი უნგრეთს ავსტრიასთან. თორემ თითქმის ყვე-  
ლა სხვა კითხვებზე და საქმეებზე ეს ორი დასი ერთი და  
იმევე შეხედულობისა იყვნენ. ორივეს გულმხურვალედ ჰსურ-  
დათ მამულის სიკეთე და ბედნიერება, ორივეს უნდოდა უნგ-  
რეთში დაეარსებინა თავისუფლება, თანასწორობა და სა-  
მართლიანობა, ორივე ერის ინტერესს თავყანს-სცემდა და  
ემსახურებოდა. განსხვავება და წინააღმდეგობა მათში ის  
იყო, რომ დეაკი და მისი პარტია მტკიცედ იცავდა უნგრეთის  
ერთობას ჰაბსბურგებთან და ჰქადაგებდა მუდამ ერთგულნი  
უნდა ვიქნეთ ჩვენი ძველი კავშირისათ, ადრე თუ გვიან ჩვე-  
ნი სიმართლე ვასტრის, ჰაბსბურგები ჰქუაში ჩავარდებიან და  
ჩვენ ჩვენსას მრგვანოქებენო. ჩვენი სიმართლე კი იმაში  
მდგომარეობს, რომ ჩვენს ენაზე სამართალი და მიმართელო-  
ბა წარმოებდეს, ჩვენ საკუთარი ჯარი და ფინანსები გვქონ-  
დეს, ჩვენი არჩეული კანონმდებლობა, პარლამენტი და სა-  
მინისტრო. ჩვენი მეფე ჩვენს სატახტო ქალაქში, პეშტში,

უნდა გვირგვინდებოდენ წმინდა სტეფანეს გვირგვინით.  
ამას ყველაფერს, ადრე თუ გვიან, უსათუოდ ვეღირსებია,  
თუ კი ჩვენს სიმართლეს არ გადაეუდგებით და კანონიერი  
გზით, მართო კანონიერი საშუალებებით ვეძიებთ ჩვენის  
უფლების აღდგინებასო. და როცა ჩვენ ჩვენსას ვეღირსე-  
ბით, მაშინ მართო ჩვენი საკუთარი ძალა და ბრწყინვალეობა  
კი არ ვეძიებთ, ჩვენი უნგრეთი გახდება მოზიარედ და თითქ-  
მის მოთავედ მთელი ავსტრიის ძალისა და გავლენისათ. ეს  
მდგომარეობა, პირველობა, თაოსნობა ავსტრიის ხალხებს  
შუა, დეაკის აზრით, უფრო ძვირფასა და სანატრელი იყო,  
ვინემ უნგრეთის სრული განთავისუფლება ჰაბსბურგებისგან.

ამ მიმართულების წინააღმდეგ კოშუთი და მისი პარტია  
ამტკიცებდა, რომ ჰაბსბურგები უნგრეთს არასოდეს არ და-  
ინდობენო. უნგრეთისთვის ბევრად სჯობია სრულებით მო-  
შორდეს ჰაბსბურგებს და თავის-თავად იცხოვროს რესპუბ-  
ლიკური წესითო. მართო ამ წესს, მართო სრულს და საბო-  
ლოო მოწორებას ჰაბსბურგებისგან შეუძლიან მიანიჭოს უნგ-  
რეთს ნამდვილი თვით-არსებობა, ნამდვილი საშუალება სა-  
მართლიანობის და წესიერების დაარსებისა ამ ქვეყანაშიო.

რამდენიმე სიტყვით ამ ორი მოღავე და მოპირდაპირე  
დასის უთანხმოება სხვა ფრიგ არ გამოიხატება.

ამ მოპირდაპირეებს შუა ბრძოლა, რასაკვირველია, ერს,  
კენჭს უნდა გადაეწყვიტა. და ერის აზრი თუ სიმპატია, ამ  
გვარ კითხვებში ყოველთვის დამოკიდებულია მებრძოლ  
პარტიების საბუთზე და სიმტკიცეზე კი არა, მართო მართებ-  
ლობის საქციელზე. რომ ავსტრიის მთავრობას 1848-ში გულ-  
წრფელობა გამოეჩინა და მართლა მტკიცედ შესდგომოდა  
დეაკის პლანის ასრულებას, ისე, როგორც ოცი წლის შემდეგ  
შეუდგა, უეჭვოა, რომ უნგრეთის ერი პირველობას და გა-  
მარჯვებას დეაკს და მის პარტიას მიანიჭებდა. მაგრამ იმ  
დროს ავსტრიის იმპერატორი ფერდინანდი უნგრეთს თან  
სწყალობდა, და თან მანეს უეგებდა, თან თვით-მმართველობას  
აძლევდა, და თან სლავებს რაზმავდა და კანონავდა უნგრეთის  
წინააღმდეგ. თავდაპირველად მთელი უნგრეთი დეაკის აზ-  
რისა იყო, და კრებულის დეპუტაციის გაგზავნა ვენაში უმ-  
ჯობესი საბუთია ამისი. მაშინ ეს მოპირდაპირე, ჰაბსბურგებთან

ავსტრიის იმპერატორს ყველა მხრიდან აჯანყების ალი ერთ-  
ყა. მისი იტალიის პროვინციები, ლომბარდია და ვენეცია,  
არეულობის ხელში იყვნენ. ვენაში და გერმანულ ნაწილებში  
ხალხი ატეხილი იყო და კონსტიტუციას თხოულობდა. ვალი-  
ცია — ცმატურობდა. ამასთანავე ნათლად ჩნდა, რომ გარეშე  
მტერი საომრად ემზადებოდა, და ავსტრიას რამდენიმე მხრით  
თავზე დასხმის ლოდინი უნდა ჰქონოდა. ამ მდგომარეობაში  
უნგრეთის მომადლიერება სჯობდა მომდღურებას. სეიმის თხოვ-  
ნა და სურვილი შეწყინარებულ იქნა. უნგრეთს მიეცა ცალ-  
კე სამინისტრო, რომლის თავმჯდომარედ გრაფი ბატიანი და-  
ინიშნა. თუმც ამ სამინისტროს ბატიანის სახელი ერქვა, მის  
ძალას და შეეგებას თავმჯდომარე კი არ შეადგენდა: ორ მის  
მინისტრზე იყო დამყარებული ქვეყნის იმედი და ყუოდლე-  
ბა: სამართლის მინისტრზე ფერენც დეაკზე, და ფინანსე-  
ბის — ლაიოშ კოშუთზე: ეს ორი კაცი, ორი სხვა-და-სხვა  
დასის მოთავე, ნიჭით და ენერგიით სავსე, უნგრეთის პატ-  
რიოტიზმის ორი წინააღმდეგი მიმართულების წარმომადგენ-  
ლები იყვნენ.

ამ ორ მოთავეს, და მათ პარტიებს, შუა განსხვავება და  
განხეთქილება მართო იმაში მდგომარეობდა, თუ როგორ უნდა  
გვიროს თავი უნგრეთს ავსტრიასთან. თორემ თითქმის ყვე-  
ლა სხვა კითხვებზე და საქმეებზე ეს ორი დასი ერთი და  
იმევე შეხედულობისა იყვნენ. ორივეს გულმხურვალედ ჰსურ-  
დათ მამულის სიკეთე და ბედნიერება, ორივეს უნდოდა უნგ-  
რეთში დაეარსებინა თავისუფლება, თანასწორობა და სა-  
მართლიანობა, ორივე ერის ინტერესს თავყანს-სცემდა და  
ემსახურებოდა. განსხვავება და წინააღმდეგობა მათში ის  
იყო, რომ დეაკი და მისი პარტია მტკიცედ იცავდა უნგრეთის  
ერთობას ჰაბსბურგებთან და ჰქადაგებდა მუდამ ერთგულნი  
უნდა ვიქნეთ ჩვენი ძველი კავშირისათ, ადრე თუ გვიან ჩვე-  
ნი სიმართლე ვასტრის, ჰაბსბურგები ჰკუაში ჩავარდებიან და  
ჩვენ ჩვენსას მრგვანოქებენო. ჩვენი სიმართლე კი იმაში  
მდგომარეობს, რომ ჩვენს ენაზე სამართალი და მიმართელო-  
ბა წარმოებდეს, ჩვენ საკუთარი ჯარი და ფინანსები გვქონ-  
დეს, ჩვენი არჩეული კანონმდებლობა, პარლამენტი და სა-  
მინისტრო. ჩვენი მეფე ჩვენს სატახტო ქალაქში, პეშტში,

უნდა გვირგვინდებოდენ წმინდა სტეფანეს გვირგვინით.  
ამას ყველაფერს, ადრე თუ გვიან, უსათუოდ ვეღირსებია,  
თუ კი ჩვენს სიმართლეს არ გადაეუდგებით და კანონიერი  
გზით, მართო კანონიერი საშუალებებით ვეძიებთ ჩვენის  
უფლების აღდგინებასო. და როცა ჩვენ ჩვენსას ვეღირსე-  
ბით, მაშინ მართო ჩვენი საკუთარი ძალა და ბრწყინვალეობა  
კი არ ვეძიებთ, ჩვენი უნგრეთი გახდება მოზიარედ და თითქ-  
მის მოთავედ მთელი ავსტრიის ძალისა და გავლენისათ. ეს  
მდგომარეობა, პირველობა, თაოსნობა ავსტრიის ხალხებს  
შუა, დეაკის აზრით, უფრო ძვირფასა და სანატრელი იყო,  
ვინემ უნგრეთის სრული განთავისუფლება ჰაბსბურგებისგან.

ამ მიმართულების წინააღმდეგ კოშუთი და მისი პარტია  
ამტკიცებდა, რომ ჰაბსბურგები უნგრეთს არასოდეს არ და-  
ინდობენო. უნგრეთისთვის ბევრად სჯობია სრულებით მო-  
შორდეს ჰაბსბურგებს და თავის-თავად იცხოვროს რესპუბ-  
ლიკური წესითო. მართო ამ წესს, მართო სრულს და საბო-  
ლოო მოწორებას ჰაბსბურგებისგან შეუძლიან მიანიჭოს უნგ-  
რეთს ნამდვილი თვით-არსებობა, ნამდვილი საშუალება სა-  
მართლიანობის და წესიერების დაარსებისა ამ ქვეყანაშიო.

რამდენიმე სიტყვით ამ ორი მოღავე და მოპირდაპირე  
დასის უთანხმოება სხვა ფრიგ არ გამოიხატება.

ამ მოპირდაპირეებს შუა ბრძოლა, რასაკვირველია, ერს,  
კენჭს უნდა გადაეწყვიტა. და ერის აზრი თუ სიმპატია, ამ  
გვარ კითხვებში ყოველთვის დამოკიდებულია მებრძოლ  
პარტიების საბუთზე და სიმტკიცეზე კი არა, მართო მართებ-  
ლობის საქციელზე. რომ ავსტრიის მთავრობას 1848-ში გულ-  
წრფელობა გამოეჩინა და მართლა მტკიცედ შესდგომოდა  
დეაკის პლანის ასრულებას, ისე, როგორც ოცი წლის შემდეგ  
შეუდგა, უეჭვოა, რომ უნგრეთის ერი პირველობას და გა-  
მარჯვებას დეაკს და მის პარტიას მიანიჭებდა. მაგრამ იმ  
დროს ავსტრიის იმპერატორი ფერდინანდი უნგრეთს თან  
სწყალობდა, და თან მანეს უეგებდა, თან თვით-მმართველობას  
აძლევდა, და თან სლავებს რაზმავდა და კანონავდა უნგრეთის  
წინააღმდეგ. თავდაპირველად მთელი უნგრეთი დეაკის აზ-  
რისა იყო, და კრებულის დეპუტაციის გაგზავნა ვენაში უმ-  
ჯობესი საბუთია ამისი. მაშინ ეს მოპირდაპირე, ჰაბსბურგებთან

ზიარებით მიანიჭა სამინისტროს ეს ნება-რთვა: უმეტეს ნაწილს მართლა ეგონა, რომ ძალა უნდა ვიხმაროთო, და დანარჩენებმა ჰტიკრობდნენ, იქნება ავსტრია მოგვერიდოს და მოგვირიგდესო. დეაკი, რასაკვირველია, ბოლომდე სისტემა წინააღმდეგი იყო ავსტრიასთან გაყრის და ომისა. იმან ერთხელ კიდევ უქანასკნელი ღონისძიება ახმარა, იქნება შერიგება მოეხდინო და რიგიან-განწყობილება დავდვა ავსტრიასა და უნგრეთს შუაო, იქნება ეს უბედური და უსარგებლო სისხლის ღვრა ავაცილო თავიდან ორივე ქვეყანასო. მაგრამ ორივეს მხრით იმას ხელი კი არ გაუწყვეს, შრახით ჰკრეს. მაშინ იმან თავი დაანება სამინისტროს, კოშუთის ბუროთი და მოედანი დაუტოვა და გზა გულ-წრფელად დაულოცა. სამინისტროს თავმჯდომარედ, გრაფი ბატიანი, რომელიც არისტოკრატიული პარტიის მოთავე იყო, ამავე გზას დაადგა. კოშუთი დარჩა მთავრობის მოთავედ და კრებულმა იმას დიქტატორის უფლება მიანიჭა.

თვით იმ ომის აწერა, რომელიც იმავე ზაფხულის დამლევს გაიმართა უნგრეთსა და ავსტრიას შუა, და რომელსაც შემდეგი გაზაფხულის ბოლოს დაერთო ომი რუსეთთან, ჩვენნი მკითხველისთვის კი არაა საყურადღებო, მარტო სამხედრო ისტორიის მოყვარულთის არის. აქ საკმაოა მოკლედ ვთქვათ, რომ ომის დასაწყისში ბედმა უნგრეთის ჯარს გაუღიმა. ენკენისთვეში უნგრეთის ჯარმა არა თუ დალევია და განდევნა იელაჩიჩის კროატები, თვით ავსტრიის ჯარიც მრავალჯერ დაამარცხა, და ზოგი უნგრეთიდან გაავდო, ზოგი (მთელი ერთი კორპუსი) ტყვედ დაიჭირა. ამით გაამპარტავნებულ უნგრეთის ჯარი, მისი წინამძღოლი გორგეის თაოსნობით, თვით ავსტრიაში შევიდა, ვენისკენ მიემართა, იმ განზრახვით, რომ ეს სატახტო ქალაქი აედო და შიგ ნაპოლეონივით მოეწერივნებნა ავსტრიის იმპერატორისთვის მორიგების პირობა! მაგრამ ავსტრიის მთავრობამ მოახერხა, როგორც იქნა, ყველა თავის ჯარების დროზე მოხმობა ვენისკენ. თვით ამ სატახტო ქალაქის წინ-კართან, ქ. შვეხატს, გორგეის და უნგრეთის ჯარს დახვდა შვერთებული ძალა იელაჩიჩის, აუერსპერგის და ვინდიშგრაცის არმიებისა. ამ სამმა არმიამ, ფიცხელი ბრძოლის შემდეგ, როგორც იქნა,

დაამარცხა და დააბრუნა უნგრები. თუმცა ამ ბრძოლის შემდეგ ვინდიშგრაცი თავის ჯარით უნგრეთში შევიდა, მაგრამ მთელი იმ შემოდგომის და ზამთრის განმავლობაში უნგრეთის სხვა-და-სხვა ლაშქრები გამარჯვებული გამოდიოდნენ. კროატებს გარდა, უნგრეთის ჯარმა დაამარცხა და დაიმორჩილა უნგრეთში მცხოვრები სერბები და რუმუნები, აიღო ტრანსილვანია, გააცალკევა და ცალ-ცალკე დაამარცხა ავსტრიის კორპუსები და ხელ-ახლად განდევნა უნგრეთიდან ვინდიშგრაცი, რომელმაც წინათ უნგრებს სატახტო ქალაქი პეშტი წაართვა. ამასობაში უნგრეთის კრებულმა 14 აპრილს 1849 წ. გადასწყვიტა და გამოაცხადა კოშუთის თაოსნობით, რომ უნგრეთი სამუდამოდ თავისუფლდება ავსტრიასთან ყოველგვარი დამოკიდებულებისაგან, პაბსბურგებს თავის შეფუებად აღარ მსცნობს და რესპუბლიკას აარსებსო. აქა-იქ თვითონ უნგრეთში აჯანყებული კროატები, სერბები და რუმუნები აცხადებდნენ წინააღმდეგობას: რაკი პეშტმა ვენის უღელი აიძროო, ჩვენც პეშტის უღლიდან თავი გავინთავისუფლოთო. აქა-იქ, აგრედვე, დარაჯობდა უნგრეთის სამხედვარზე ავსტრიის სულდაცემული და დამშვეული რახმები, თორემ დანარჩენში კოშუთის მთავრობა და უნგრეთის ჯარი მთელ უნგრეთს ჰელლობდა და ჰმართავდა.

იმავე დროს ავსტრიას დიდი ომი ჰქონდა იტალიაში, სადაც აგრედვე დამარცხებული შვიქნა. თვითონ გერმანიაშიც დიდი არეულობა, შფოთი და ომის ლოდინი იყო. ფრანკფურტში შეიკრიბა „მთელი გერმანიის პარლამენტი“, რომელმაც „გერმანიის იმპერიის აღდგენა“ დააწესა, და იმპერატორის გვირგვინი პრუსიის უოროლს მიართვა. ავსტრიას მამ ამ მხრითაც ჯარის გაყვანა სჭიროდა. საფრანგეთში რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს ბირველი ნაპოლეონის ძმის-წული, ლუი ნაპოლეონი, რომელიც იტალიის საქმეებში გარევეს აპრობდა და რომში გასაგზავნ ჯარს ამზადებდა: აქაც ავსტრიის ჯარი ეჭირვებოდა. ერთი სიტყვით, გასაჭირი ყველა მხრიდან ჰქონდა. ამ მძიმე მდგომარეობაში იმპერატორმა ფერდინანდმა ტახტიდან გადადგომა აჩიია. მისმა მემკვიდრემ, ფრანცმა იოსებმა, თავისი მინისტრების რჩევით სხვა ვერა მოიფიქრა-რა, გარდა იმისა, რომ რუსეთის იმპერატორს,

ნიკოლოზ პირველს, სთხოვა, მიშველეთ, უნგრები დამიმორჩილეთ.

ნიკოლოზ პირველმა სიამოვნებით შეასრულა გაჭირვებულნი თავისი მეზობლის თხოვნა. მისი ბრძანებით პასკევიჩმა კარპატის მთები გადაიარა და შეიყვანა უნგრეთში 130,000 რუსის ჯარი. პასკევიჩი მეტისმეტი ნიჭის პატრონი სტრატეგი იყო. როგორც სპარსეთის და ოსმალეთის საწინააღმდეგო ომებში, 1827—1829 წელს, და როგორც პოლონიის დამორჩილების დროს, 1830 წელს, იმან უნგრეთშიც წინააღმდეგედგენილი პლანით და ჯარის სწრაფი მოძრაობით ხელიდან გამოაცალა უნგრებს ყველა ის ადგილები, საცა კი მათ ან საზღვრებს, ან იარაღის შოვნა შეეძლოთ. 15 ივნისს 1849 წელს მისმა ჯარმა უნგრეთში ფეხი შედგა, და ორი თვის შემდეგ, 15 აგვისტოს 1849 წ., მთელი უნგრეთი მისგან დამორჩილებული შეიქნა. აგვისტოს დამდეგს პასკევიჩმა დაამარცხა უნგრეთის უმთავრესი ჯარი დებრეჩინთან, და ორი კვირის შემდეგ, 13 აგვისტოს, ქ. აბადთან დაატყვევა გერგეი და მისი ჯარი. რუსებმა ტყვედ დაიჭირეს 80,000 სალდათი, 400 ზარბაზნით და 150 ბაიარლით. ამით გათავდა უნგრეთის არეულობა და თვით-არსებობა. ნიკოლოზ პირველმა თავისი ჯარი უკანვე გამოიხმო, რაკი დამშვიდებული უნგრეთი ფრანკიონებს, საქორწილო საკვლევებსავე თავზე გადაუდგო.

დატყვევებული უნგრების წინამძღოლები, რომელიც პასკევიჩმა, წესისამებრ, ავსტრიის ლენერლებს გარდასცა, ავსტრიის მთავრობამ თითქმის ყველა ჩამოარჩო. ეს დიდი დარღვევაა ომის ჩვეულებისა, და ამგვარმა უპირობამ მეტად აწყენინა ნიკოლოზ ხელმწიფეს. აგრედვე უმოწყალოდ დაარჩევს ავსტრიელებმა რამდენიმე ასი წარჩინებული პატრიოტი, მწერალი, პოეტი, მხატვარი, თუ სწავლული. ერთი სიტყვით, რაც კი რამ ჰყავდა უნგრეთს ნიჭიერი ან თვალთსაჩენი, თითქმის ყველა მოკრიბა ავსტრიის მთავრობამ და ჩამოარჩო. გადარჩა მარტო კოშუთი, 4000 ჯარის და სამსახურის კაცით, მით, რომ ოსმალის სამზღვარში შევიდნენ და დაემალნენ მათ მდევნელს რუსეთის ჯარს. ზოგიერთი სხვა სახელმწიფოში გაიქცა. უნგრეთში დადგა რისხვის და ტანჯვის დრო, რომელმაც ერთიანად გაამწარა ავსტრიელების წი-

ნაღმდეგ არა თუ მარტო უნგრები, მთელი განათლებული კაცობრიობაც.

ამით დაბოლოვდა უნგრეთის ორი მოწინავე პარტიის ბრძოლა და ქიშპობა: ორივე დაუძღურებული და მართვისგან განდევნილი შეიქმნა. კრებულები მოისპო. უნგრეთში გერმანელი ბატონობა და მარტო გერმანული ენა ისმოდა. დღემდინაც, იქნება მომავალ საუკუნემდინაც ასე იქმნებოდა, ავსტრიას გარეშე ვასაჭირი რომ არ დამართოდა, გარეშე მტრისგან რომ არ მოსდგომოდა დამარცხება. სწორედ ისე, როგორც უცხოეთიდან ეშველა იმას 1849-ში, უცხოეთიდანვე მიადგა მას დაღუპვა ათი წლის შემდეგ 1859. უწინ რუსეთმა წამოაყენა ფეხზე უნგრეთი, ახლა კი საფრანგეთმა ძირს დასცა იტალიის მინდვრებში...

როცა ნაპოლეონ მესამემ იტალიის სასარგებლოდ ომი დაუწყო ავსტრიას, იმას იმედი როდი ჰქონდა, რომ ისე ადვილად და მალე გაიმარჯვებდა. ავსტრია იმას უფრო ძლიერი ეგონა იტალიაში. მის დასასუსტებლად, მისი ჯარის ერთი ნაწილის მანაც იტალიიდან უნგრეთისკენ გადასაყვანად, ნაპოლეონმა უნგრეთში არეულობის მოხდენა არჩია. ამ განზრახვით იმან კოშუთი მოიწვია, რომელსაც პირობა მისცა (ნახე „Le Temps“ 22 მარტისა) უნგრეთის განთავისუფლებაში დაგეხმარებო, უსათუოდ გაგათავისუფლებინებ შენს მამულსაო. კოშუთი თანახმა გაუხდა ნაპოლეონს, მაგრამ იტალიის ომი 1859 ისე უცებ გათავდა, რომ კოშუთმა ვერაფერი მოძრაობის მოხდენა ვერ მოახერხა თავის სამშობლოში. შვიდი წლის შემდეგ, 1866, როცა იტალია და პრუსია ავსტრიას ომს უპირობდნენ, ბისმარკმა იმნაირივე წინადადება მისცა კოშუთს. კოშუთმა მართლაც მოინდომა პრუსიელების დახმარება და თავის მემამულეებს ურჩია, არიქა დროს ნუ დავკარგავთ, ვისარგებლოთ ავსტრიის სისუსტით, თავზე დავესხათ და ეინიც ამოვიყაროთ და მამულიც განვათავისუფლოთ. მაგრამ არც 1859-ში, არც 1866 მისს რჩევას და პარტის გავლენა არ ჰქონია უნგრეთის ხალხის მოქმედებაზე. დეაკი და მისი მომხრენი პირდაპირ ეწინააღმდეგებოდნენ ამგვარ რჩევას. — ვერაფერს მოვიგებთო, ჰქადაგებდნენ ისინი, ტყუილად სირცხვილს ვკამთო; კიდევ რომ გავიმარჯვოთ,

კადეც რომ განუთავისუფლდეთ, ნიადგ სხვების სათაპაშო, სხვების სალუკმა-პურო გავხდებოდითო: როგორც ბურთს ისე გავვიგდებენ ერთმანეთში და ისე გავგეწვენ ავსტრია, რუსეთი, ოსმალეთი და გერმანია. რომელ ერთს აუვალთო? ბევრად გვირჩევნია ერთგული დაერჩეთ ავსტრიის ტახტისათ, აღრე თუ გვიან არ შეიძლება რომ არ მიხვდეს ის, რომ ურჩევნია თვით-მმართველობა მოგვეცეს. თუ კი მასგან ნამდვილი თვით-მმართველობა დაგვემტკიცდა, მასთან კავშირი ჩვენთვის მაშინ საზარალო კი არა, მეტის-მეტად სახირო იქნება, რადგანაც მისი მორიდებით, მისი შიშით ჩვენს ქვეყანას სხვა ველარავინ ახლებს ხელს და ვერ შემოესევთ. ამ ქადაგობას ეხლა, 1859 და 1866, ბევრად უფრო მეტი დამკვირვი მყვანდა, ვინემ 1848: ყველას ახსოვდა ავსტრიასთან ბრძოლის სიძნელე, დამარცხების სიმწარე, და, უფრო, ისიც, რომ ავსტრიას გარდა სხვებსაც შესძლება ჩვენი აოხრება და დამონებაო. ისევ შეჩვეული ჰყირი სჯობნებია შეუჩვეულსაო.

ამ ქადაგების ძალით, ამ მოსაზრების გამოისობით, კოშუთის პარტიამ ველარ მოახერხა ვერც იტალიის, და ვერც პრუსიის ომის დროს აჯანყება მოეხდინა უნგრეთში. მასასადამე, ნაოლეონის და ბისმარკის თვალში იმის რევოლუციონერობას მაზანდა ჩამოუვარდა. 1866-ის დამარცხების შემდეგ ავსტრიამ მართლა დინახა, რომ იმას იტალიისა და გერმანიისკენ სრულებით ტყუილად უკავია თვალი: აქეთკენ ჩემთვის აღარაფერია საიმედოო. ბისმარკის რჩევით, და საქირთების ძალით, ავსტრიამ მთელი თავის ყურადღება აღმოსავლეთისკენ, ოსმალეთისკენ მიაქცია. ამ მხრით ჩემთვის უნგრეთი ჩინებული ავანგარდი, უმჯობესი დამხმარი და ამხანაგი იქნებაო, მიხვდა. ამ განზრახვით ავსტრიის იმპერატორმა მოიხმო დეაკი (რომელიც უწინაც ბევრჯელ მიიწვიეს, მაგალითად, 1850 და 1860-ში, მაგრამ ვერ დაითანხმეს). დეაკმა ხელ-ახლად წარადგინა თავისი უწინდელი პლანი, რომელიც ორჯელ თუ სამჯერ, 1856, 1850 და 1861-ში დაწუნებული და უკუგდებული იყო ავსტრიის მთავრობისგან. ეხლა კი მეტი დონე აღარ იყო, უნდა მივლოთ, აა რასში მდგომარეობდა ეს პლანი: უნგრეთს თავისი პარლამენტი, თავისი კანონმდებლობა, თავისი ფა-

ნანსები ექმნებოდა, თავისი მინისტრები, თავისი ჯარი ეყოლებოდა და მმართველობაც თავის ენაზე ექმნებოდა, და ავსტრიას — თავისი საკუთარი. მაგრამ ამ ორ სახელმწიფოს ზოგიერთი რამ ისეთი აქვს საერთო და საზიარო, რისაც გაყოფა სრულიად შეუძლებელია: დამოკნის შემოსავალი, აქციზი, ძველი ვალები და სხვ. და სხვ. გარეშე დიპლომატიაც აგრედვე ზიარი უნდა ჰქონოდა ორივე ერს. ამ ნაწილების მართვისათვის, თავ-თავისი სამინისტროს და პარლამენტს გარდა, მესამე, საერთო, ზიარი პარლამენტი (დელეგაცია) და სამინისტრო ექნებათო, რომლის წევრები იმ ორ პარლამენტისაგან აირჩევიან და რომლის გავლენა მარტო ამ სამ საგანს უნდა დაეტყოს: გარეშე დიპლომატიას, საზრიანი ვალების ანგარიშს და საერთო ბაჟის შემოსავალს. ყველა დანარჩენ საქმეების მართვაში ორივე ქვეყანას სრულებით თავისებურად, თავისი ნებით და მოსაზრებით მოქმედების უფლება ექმნებაო, და ვერცერთი მათგანი თავის შეკავშირეს საქმეებში ვერც გაერევა, ვერც ხმას ამოიღებსო. ამ თანასწორობის, თვით-არსებობის და ტყუპობის ნიშნად შეერთებულ სახელმწიფოებს უწინდებურად ავსტრიის იმპერია კი აღარ ერქმეოდა, აწი „ავსტრო-უნგრეთი“, „ავსტრო-უნგრეთის მონარქია“ ეწოდებოდა. ამის თანახმად ავსტრიის იმპერატორი უნგრეთის სატახტო ქალაქში, პეშტში, უნდა მოსულიყო და ეკლესიის წესისამებრ უნდა დაგვირგვინებულყო წმინდა სტეფანეს გვირგვინით. იმ პლანს, რომელიც დეაკმა ათასჯერ მაინც წარუდგინა თავის მკითხველებს, ამომრჩეველებს და მეფეებს, დიდი მნიშვნელობა მიეცა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ავსტრია პრუსიამ დააპარცა „სადოვისთან“. 1866-ში, ამ დამარცხების შემდეგ დეაკმა დიდი მეცადინეობა ახმარა თავისი აზრების გასახორციელებლად, მაგრამ, როგორც თერამეტის წლის წინად, 1848-ში, ახლაც მას გზაზე კოშუთი და მისი პარტია გადაეღობა. პეშტის კრებულში როცა სჯა ასტყუ და დეაკის პლანის და მის წარდგენის შესახებ იმპერატორთან მთელი უნგრეთის მხრით, კოშუთის პარტიამ საშინელი წინააღმდეგობა გაუწია დეაკს და მის პლანს. — რის მორიდებაო, სჯობს ერთიანად მოვშორდეთო, და სხვ. ნამდვილად ვერ იტყვის ახლა კაცი, კოშუთის პარტიას იმ დროს რამ-

დენი საკუთარი მომხრე ჰყავდა უნგრეთის წარლამენტში, რადგანაც დეაკის პლანის წინააღმდეგი მარტო კოშუთის თანამოაზრენი კი არა, სხვანიც ბევრი იყვნენ: სერბები, კროატები, ჩეხები, რუმუნები, და უფრო მეტი უნგრები; ისეთები, ვისაც ავსტრიასთან მორიგება კი უნდოდათ, მაგრამ რომელსამე სხვა საფუძველზე. დიდი ბრძოლის და დავის შემდეგ, კრებულმა დეაკის პლანი მიიღო, ასიოდე კენჭის უმრავლესობით, მეფეს თავისი სახელით წარუდგინა, და კიდევ მიადგინა. ამ ნაირად დაარსდა ავსტრო-უნგრეთში დუალიზმი. ისტორიაში ამ დათანხმებას თუ მორიგებას „1867 წლის კომპრომისს“ ეძახიან.

8 ივნისს 1867 წ., თანახმად ამ ახალი წყობილებისა, ფრანკო-ოსტრია პეშტს უნგრეთის კოროლად იკურთხა გვირგვინი. იმავე დროს იმან უნგრეთის სამინისტროს თავმჯდომარეობა შეაძლია დეაკს, როგორც პარლამენტის უმრავლესობის მოთავეს. დეაკმა მინისტრობა არ ისურვა. სიკვდილამდინ ის დარჩა თავისი პარტიის წინამძღოლად, პარლამენტის ბრძოლის მსაჯულად და ერის ზნეობრივ მოთავედ. მინისტრებს ის ირჩევდა და წინ-უძღოდა. წლინახევრის შემდეგ მთელ უნგრეთს წარედგინა განსახილველად დეაკისგან მომხდარი მორიგება. 1869 წლის მარტის თვეში ახალი პარლამენტის ამოსარჩევი კენჭისყრა მოხდა უნგრეთში. ამ კენჭის-ყრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც შიგ ქვეყნის აზრი გამოითქმებოდა ავსტრიასთან მორიგების და ახალ წყობილების შესახებ. მართლაც მორიგების წინააღმდეგებმა ყოველი საშუალება იხმარეს, დეაკის აზრის და პარტიის დასამცირებლად და დასამარცხებლად. უცხოეთიდან ყოველ დღე მოდიოდა უნგრეთში, და იქაურ გაზეთებში და სოფლებში ვრცელდებოდა, ახალ-ახალი აბრიალებული და მხურვალე მინიფესტები კოშუთისა, — ნუ იზამთ, ნუ მიიღებთ ავსტრიასთან მორიგებასო, მოვშორდეთ ერთიანად მაგ ქვეყანას, ჩვენნი სრული თვით-არსებობა, „დამოუკიდებლობა“ დავაარსოთო. კოშუთმა, ერთდ სიტყვით, ცხადად და სასტიკად აღნიშნა თავისი და თავის პარტიის შეურაცხებლობა ავსტრიასთან.

კენჭის-ყრა მით დაბოლოვდა, რომ ახალ პარლამენტში შევიდა: 270 დეაკის პირდაპირი და სრული მომხრე; 110 წევ-

რი ისეთი, რომელიც დეაკს ზოგს საქმეში უმხობდა, ზოგში კი ეწინააღმდეგებოდა, და რომელიც მორიგების გაუმჯობესობას თხოულობდა; და მარტო 60 კოშუთის მომხრე. ეს რიცხვები მშვენივრად გვიხსნის იმ დროინდელ უნგრეთის შინაგან მდგომარეობას.

დეაკის და მისი პარტიის აზრით, 1867-ში გადაწყდა მართო უმთავრესი მხარე საქმისა, მარტო თავი-და-თავი კითხვები. სამერმისოდ დარჩა გასარჩევად და გადასაწყვეტად ბევრი შესამჩნევი ცვლილება, სხვათა შორის ის, თუ რა მდგომარეობაში, რა წესში ჩაყენებული უნდა ყოფილიყო უნგრეთის ის ნაწილები, საცა სერბები, ან რუმუნები, ან კროატები ხალხის უმრავლესობას შეადგენდნენ, აგრეთვე დატოვებული იყო სამერმისოდ იმის გადაწყვეტაც, თუ რა განწყობილება უნდა ჰქონოდათ უნგრებს სლავებთან და სხვ და სხვ. საქმეს რომ შეუდგნენ, თავდაპირველად, რასაკვირველია, ფინანსების ნაწილს მიაქციეს ყურადღება, იმ განზრახვით, რომ შიგ წესიერება დაემყარებინათ და ხალხისთვის უსარგებლო ფულის ფლანგვა მოესპოთ. მთელი ათი წელიწადი მოუწია უნგრეთი ამ მიზნის მიღწევას, სანამ მოახერხა, რომ შემოსავალი გასავალს გასწორებოდა, და ფინანსებში სიხატლე და წესიერება დამყარებულიყო. ამასთანავე დეაკის პარტია სწავლისა და ხალხის განათლების საქმეს მიაწეა. უწინ რომ თითქმის სულ არ ჰქონდა უნგრეთს „სახალხო“, ხალხისთვის გამოსადეგი სასწავლებლები, ახალმა სამინისტრომ რამდენიმე წლის განმავლობაში 2,000 სასოფლო თუ სახალხო სკოლა დააარსა, 75 რეალური სკოლა, 145 გიმნაზიო, და ბევრი სხვა საშუალო და უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი. აგრედვე დიდი მოღვაწეობა გასწია დეაკის პარტიამ და სამინისტრომ რკინის გზების გასამრავლებლად ქვეყანაში, რადგანაც უამისოდ ეხლა ერის წარმოების და მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლებელია. ბევრი ამ გვარი პრაქტიკული ცვლილებების მეოხებით ათიოდე წლის განმავლობაში უნგრეთს, არა თუ ზნეობრივ, მატერიალურადაც ისეთი წარმატება დაეტყო, თვით მოწინააღმდეგეების მოწმობითაც, როგორც ავსტრიის ხელში ბიუროკრატიული სისტემის

ძალით, მთელი ერთი საუკუნის განმავლობაშიც კი არ ღირსება უნგრეთს. და სანამ დეაკი და მისი პარტია ერს ამგვარი ხელ-მოსაკიდი, რეალური სიკეთის გზას ასწავლიდა, და მის მისაღწევად პრაქტიკულ პროექტებს თუ კანონებს უდგენდა, კომუტი და მისი თანამოაზრეები გაზეთებში თუ პარლამენტში ცარიელ ფრაზებს ღაღადებდნენ „დამოუკიდებლობაზე“. სრულს თავისუფლებაზე და სხვ. ერთხელ, სამინისტროს ეინზე. მინისტრების ჩინებული პროექტის გასაუქმებლად კენჭის-ყრის ძველი კანონების შეცვლის თაობაზე ამ პარტიის წევრებმა პარლამენტში მთელი რვა დღე ილაპარაკეს მარტო კანონის სათაურის თაობაზე, მერე ორი კვრა კიდევ ილაპარაკეს საზოგადოდ კენჭის-ყრის მნიშვნელობაზე, და იქამდინ გააქანურეს პროექტის განხილვა, სანამ პარლამენტს კრების ვადა არ გაუვიდა... ამით, რასაკვირველია, უნგრეთის საქმეების მსვლელობა არც ერთ იოტის ოდენად არ შეეცვლილა, არც იქაური პარტიების შედარებითი რაოდენობა: მარტო ერთი წელიწადი უქმად დაიკარგა და ერთხელ კიდევ ქვეყნის არჩევანი, კარგი და გონიერი კანონის მაგიერ, ძველი, ყველასგან დაწუნებული წესით მოხდა. დიდ და შესამჩნევ გავლენას, რასაკვირველია, ძნელად შეიძენს ერში პარტია, რომელიც ამგვარ საშუალებებით იბრძვის რეალური წარმატების მეთაოსნე რაზმის წინააღმდეგ.

თანდათან მატერიალურ და ზნეობრივ ცხოვრებაზე დაეტყო უნგრეთს მორიგების სიკეთე და სარგებლობა. მაგრამ უფრო შესამჩნევი, უფრო საკვირველი ნაყოფი მოუტანა ამ მორიგებამ უნგრეთს გარეშე საქმეების, დიპლომატიის და ევროპაში გავლენის მხრით. უნგრეთი რომ ავსტრიას მოშორებოდა, თუნდ მთელ ევროპას ეცნო და დაემკვიდრებია, თავს-ედღა მისი თვით-არსებობა და ხელშეუხებლობა, რა იქნებოდა მისი ხმა დღეს ევროპაში? თუნდ არც შინ, სლავებთან, ჰქონოდეს მას უთანხმოება და შფოთი, თუნდ არც გარეშე მტრისა შინებოდეს და რიდი ჰქონოდეს, იმან სულ ბევრი, ბევრი, საბერძნეთის ან რუმინიის ტოლა გავლენა და მნიშვნელობა თუ ექნებოდა ხალხთა შორის რჩევებში და საქმეებში. ახლა კი დეაკის კომპრომისის მაღლით, უნგრეთის

უთანხმოდ ავსტრია არა თუ ერთ თოფსაც ვერ გაისვრის, ხმასაც ვერ ამოიღებს ქვეყანაში და ავსტრო-უნგრეთის ხმა აქ იმოდენს ნიშნავს, რომოდენსაც უპირველესი და უდიდესი სახელმწიფოების ხმა, ინგლისისა, რუსეთისა, გერმანიისა და საფრანგეთისა! უნგრეთი შეიქნა „მეექვსე დიდი სახელმწიფო“, ბევრად უფრო ძლიერი, ვინემ იტალია, და ისპანიას კი ვინ გაიხსენებს, მაშინ როდესაც, სიმდიდრით, ხალხის რიცხვით, ისტორიით და სხვ. და სხვ. სად ესპანია და იტალია, და სად უნგრეთი! რასაკვირველია, ეს დიდი და წარჩინებული მდგომარეობა სრულიადაც არ შეეფერება უნგრეთის ნამდვილ ძალას. იმას „შინაგანი მკამელი“ უზის სხეულში, რომელიც, ადრე თუ გვიან, უსათუოდ გაუთხრის სამარეს: სლავების ჩაგვრა, მათთან ქიშპობა. მაგრამ ჭეჭერობით კომპრომისმა უნგრეთს ავსტრია დაუმშობილა, და სანამ ავსტრია ფეხზე დგას, ავსტრიის ძალით და გავლენით იგერიებს უნგრეთი სლავებს. მართალია, ზოგი უნგრეთს იმას ურჩევდა, სლავებს დაუახლოვდი და მათთან ერთად ავსტრია მოიგერიეო, მაგრამ, როგორც 1848 წელს დაამტკიცა, თვითონ სლავები ყოველთვის ავსტრიას უფრო მიეცეოდნენ, ვინემ უნგრეთს.

ყოველ შემთხვევაში, რა იქნება შემდეგში, ეს ვინ იცის, ვრა კი მარტო უფრო იმას აფასებს და იგებს, რასაც თვალთ ამჩნევს და ხედავს. მისი შეხედულებით, ჩვიდმეტი წლის პრაქტიკამ ერთიანად დაამტკიცა დეაკის კომპრომისის სიკეთე და შეუდარებლობა. თანდათან უნგრეთის პარლამენტში დეაკის აზრების სასარგებლოდ მოხდა მოძრაობა იმ „ზომიერ მარცხენა მხრის“ წევრებში, რომელნიც თუმც ერთიანად კი არ უარყოფდნენ, მაინც ბევრში იწუნებდნენ 1867-წლის კომპრომისს. 1874-ის ენკენისთვეში დეაკის პარტიის შეუერთდა მთელი მესამედი „ზომიერის მარცხენისა“, ვიჩის თაოსნობით. 1875-ს მარტის თვეში მთელი ამ პარტიის დანარჩენმა ნაწილმაც სამუდამოდ და ერთიანად მიიღო კომპრომისი, ტისას მეთაურობით. ეს შეერთებაც მალე შეიქნა უნგრეთის ერის მსჯელობის და გადაწყვეტილობის საგნად. იმავე 1875 წლის მკათათვეში პარლამენტის არჩევანები მოხ-

და. ერს სულ 440 დეპუტატი უნდა აერჩია. ამ რიცხვში სა-  
მინისტროს, ან დეაკის პარტიის, მომხრე არჩეულ იქნა 380  
კაცი. კოშუთის თანამოაზრეთაგანი ამ წელს მარტო 20 დე-  
პუტატი აირჩიეს. დანარჩენები — სერბები, კრაატები, რუ-  
მუნები, ნემცები და სხვ. იყვნენ. როგორც 1867-ში, ისე  
დღემდინაც, ამათ უნგრეთის პარლამენტში ის ადგილი უკა-  
ვიათ, რომელსაც ყოველგან „უკიდურესი მარცხენა“ ჰქვი-  
ან. 1869 წლის დამარცხების შემდეგ თვითონ კოშუთი თან-  
დათან სულ ნაკლებ და ნაკლებ მონაწილეობას იღებდა უნგ-  
რეთის შინაგან საქმეებში. ის იტალიაში დარჩა, ქ. ტერინ-  
ში, მაშინ, როდესაც მისი მომხრენი, მისი სახელით, უნგრე-  
თის პრესაში და პარლამენტში დეაკის გამარჯვებულ პარ-  
ტიას და სამინისტროს ებრძოდნენ. პრაქტიკული გავლენა და  
მნიშვნელობა ამ ბრძოლას ბევრი როდი რამ ჰქონდა. რამო-  
დენად შემცირდა, მისი მეოხებით, კოშუთის პირადი რეა-  
ლური მნიშვნელობა და გავლენა უნგრეთში, გვიჩვენებს შემ-  
დეგი გარემოება. 1890 წ., როცა ტისსა მთავარ-მინისტრად  
იყო, მარცხენა მხარის მოთავემ, დეპუტატმა ირანიიმ, უნგ-  
რეთის პარლამენტში დავა ასტეხა იმის თაობაზე: დაუკარ-  
გავს კოშუთს უნგრეთის მოქალაქის სახელი და უფლება,  
თუ არაო? ირანიი ლაპარაკობდა დიდი ენერგიით და ნი-  
ჭით, და საქებ პატრიოტის დაცვისთვის ისეთ სიმებს ეხე-  
ბოდა, რომელიც ყოველი უნგრის გულში ნიადაგ ადვილად  
მალალ ხმაზე უდარუნობს. თვითონ დეაკის პარტიიდანაც ბევრს  
ჰსურდა, რომ კოშუთს უნგრეთის მოქალაქეობა შერჩენოდა.  
მაინც ირანიის წინადადება პარლამენტმა უკუაგდო 218 კენ-  
ჭით. ირანიისკენ 89 ხმის მეტი არ გამოთქმულა.

თუმც 1867-ს აქეთ კოშუთმა თავის სამშობლოში რეა-  
ლური ძალა და გავლენა თითქმის ერთიანათ დაკარგა, ამ  
ქვეყანაშიაც და მთელ განათლებულ კაცობრიობაშიაც მის,  
დამჩვრი თუ არა, პატივის-მცემელი ბევრი შერჩა. როგორც  
უწინ ყველა ალტაცებაში მოიყვანა მისმა ანჩხლმა, გამოწარე-  
ბულმა, ენერგიულმა, შეუჩივებელმა ბრძოლამ ავსტრიის  
წინააღმდეგ, ისე ეხლა ყველას გულს სწევს უკიდურესი  
სიღარიბე, მარტოობა და უძლურება ამ სასტიკი და მტკიცე

მებრძოლისა, რომლის მამულის სიყვარული იქნება ხანდის-  
ხან სცდებოდა, მაგრამ ყოველთვის გულწრფელი, ღრმა, და  
თავდაუზოგველი იყო. ვისაც ასე ღრმად, ასე სწორედ, ასე  
შუღამ უყვარს თავისი ერი, იმას შეცდომა კი არა, ყველა-  
ფერი შეენდობა. აი, იმის მიზეზი, რომ გადაცვალებულ გმირს,  
განსვენების და დამარხვის დროს, უნგრეთმა და მთელმა გა-  
ნათლებულმა ქვეყანამ სწორედ რომ მეფური პატივი სცა...